ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №104550

ნომერი: AR132619

თარიღი : 23.03.2012

გაცემის თარიღი : 31.03.2012

გაცნობის თარიღი : 31.03.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება სან-ზონა , 25-ე კორპუსის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ღრმაღელე"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დიმიტრი მარგალიტაშვილი პ/ნ 01019019043
- თბილისი ზესტაფონის ქ. N 18 კორ. 3 ბ. 21

ორგანიზაცია:
- შპს ემ-ჯი სტუდიო კოდი: 200068942

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ არსებული I კლასის ობიექტის რეკონსტრუქციას და ღობის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ რომ ვინაიდან არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილებაში შედის მის ადმინისტრაციულ საზღვრებში კონკრეტული ობიექტების განთავსების შესაძლებლობის დადგენა, საპროექტო ობიექტების მოცულობითი კუთხის, შენობა-ნაგებობების ექსტერიერების ვიზუალიზაციის შეფასება, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია თქვენს მიერ მოთხოვნილი საკითხის დაკმაყოფილება, მით უფრო, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი ფუნქციური ზონირების მიხედვით განთავსებულია საცხოვრებელ ზონა 6-ში, მაღალი ინტენსივობის ფუნქციურ ზონაში. საპროექტო ტერიტორიაზე შემდგომი მშენებლობა უნდა წარიმართოს უკვე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, 2008 წელს შეთანხმებული სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტის მშენებლობის კუთხით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არქიტექტურის სამსახური არ ადასტურებს თქვენს მიერ მოთხოვნილი საკითხის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.